20/08/2024

MES 9 24 0000995005

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისი N169 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სამოქალაქო განათლების ექსპერტი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნათია კვირიკაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ქეთი მუთიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეგნის N2 საჯარო სკოლა:
გრიშა გიგაშვილი - სკოლის დირექტორი

სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ტკოცის საჯარო სკოლა:
ლიანა ლომიძე - სკოლის დირექტორი

შპს - თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა - ლიცეუმი "მწიგნობართუხუცეს"ი:
დავით კახნიაშვილი - სკოლის დირექტორი

შპს - სკოლა XXI საუკუნე:
ნატო რევიშვილი - სკოლის დირექტორი
ნატო გვენეტაძე - ხარისხის მართვის მენეჯერი

შპს - ნერგები:
ირინე აბაშიძე - სკოლის დირექტორი
მადონა კეკელიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერ ტები):

სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეგნის №2 საჯარო სკოლა:

ა) ზაზა ჭანტურია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მაკა კაჭკაჭიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნათია დარსაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ბექა კვაჭაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) მაია ქუთათელაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) მადონა ბობოხიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) თეა ღვინიანიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ირინე ჯანაშია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნინო გორგილაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ლია ნეფარიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ლ) ლელა მანგოშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ტკოცის საჯარო სკოლა:

ა) პაატა ჩორგოლაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ეკატერინე ვეკუა (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ლია ბოგვერაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნინო თედორაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) მარინა თავართქილაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) შოთა მაღლაკელიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ავთანდილ ცნობილაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მზია შევარდნაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნანა ცინცაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) საბა დარსაველიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ლელა მანგოშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

შპს თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა - ლიცეუმი „მწიგნობართუხუცესი“:

ა) ცირა ნიკოლაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) სოფიო ტარასაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

შპსსკოლა XXI საუკუნე:

ა) ელენე კალანდაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ლელა ბუბაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) კახა გალდავა (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) გიორგი ნებიერიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) მაკა გიორგბერიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) თამარი კვანტიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ლიანა კობესაშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ალექსანდრე ჩახნაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

შპს-ნერგები:

ა) ნონა ჩუბინიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ირმა ავალიანი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) კახა გალდავა (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) გიორგი ნებიერიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) მაკა გიორგბერიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნინო მარღიშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,, წევრი);

თ) თამარი კვანტიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ლიანა კობესაშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ალექსანდრე ჩახნაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ვერა სომხიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2024 წლის 09 აგვისტოს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეგნის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ტკოცის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს - თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა - ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
4. შპს - სკოლა XXI საუკუნეში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. შპს - ნერგებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და, შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეგნის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ზაზა ჭანტურიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეგნის N2 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 01 და 02 ივლისს. სკოლა მდებარეობდა ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეგანში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 50 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ სკოლას ჰქონდა 35 ერთეული მერხი და სკამი, შესაბამისად, აღნიშნულ მოთხოვნას ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმებოდა იმ შემთხვევაში, თუ, სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეგნის N2 საჯარო სკოლა სასწავლო პროცესს განახორციელებდა ორ ცვლაში. საავტორიზაციო ვიზიტის პერიოდში სკოლაში ირიცხებოდა 11 მოსწავლე.

ექსპერტმა, ზაზა ჭანტურიამ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭრა) სტანდარტები შეფასდა “მეტწილი” შესაბამისობით, ვინაიდან, კომპონენტები 2.1 (კურიკულუმის შემუშავება); 2.2 (კურიკულუმის განხორციელება); 3.3 (ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება) და 3.5 (მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა) შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“. ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების მიმართ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ზაზა ჭანტურიას თქმით, სკოლამ სრულად გაიზიარა ექსპერტების დასკვნის პროექტში ასახული ფაქტობრივი გარემოებები. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსები, გათვალისწინებული იყო რისკები, გაიწერა აქტივობების დაწყების და დასრულების თარიღები. აღსანიშნავი იყო, რომ გარკვეული ინდიკატორები, რომლებიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც - ,,არ შეესაბამება“, ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც - ,,მეტწილად შესაბამისი“. ასევე, დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოადგინა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნა, შენობის მდგრადობასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარე დავით მალაზონია, ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემული რეკომენდაციებისა და რჩევების რაოდენობიდან გამომდინარე, დაინტერესდა, რით იყო

განპირობებული რომ დაწესებულება სათანადოდ მომზადებული ვერ შეხვდა ავტორიზაციის პროცესს და რა გეგმა ჰქონდა მომავალში რეკომენდაციების შესრულების თვალსაზრისით.
ექსპერტმა, ზაზა ჭანტურიამ, აღნიშნა, რომ ვინაიდან, დაწესებულებაში სულ 11 მოსწავლე ირიცხებოდა და რამდენიმე კლასში არც ერთი მოსწავლე არ იყო, სკოლას პრაქტიკულად არ ჰქონდა საშუალება განეხორციელებინა ის პროექტები, რაც დოკუმენტებში ჰქონდა გაწერილი.
ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით კი განმარტა, რომ პედაგოგებსა და სკოლის წარმომადგენლებს გააჩნდათ შესაბამისი კვალიფიკაცია და მზაობა, გაცემული რეკომენდაციების გასათვალისწინებლად.
სკოლის დირექტორის, გრიშა გიგაშვილის, განმარტებით, გარკვეულ რჩევებსა და რეკომენდაციებთან დაკავშირებით სკოლას მიმდინარე პერიოდში დაწყებული ჰქონდა მუშაობა.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, დაწესებულებას მისცა რჩევა გამოესწორებინა ვებ-გვერდზე არსებული ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ, ჩაესწორებინათ ელექტრონული ფოსტის მისამართი და ბიუჯეტის შესახებ ინფორმაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 16:20
დასრულების დრო: 16:30

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეგნის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 50-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეგნის N2 საჯარო სკოლას (ს/კ: 225065210) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 50-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმ	ზოგადსაგანმა	

	პროგრამის სახელწოდება	ანათლებლო პროგრამის საფეხური	ნათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ბაღდათის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზეგანი.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ბაღდათის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზეგანი.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:

- **მონიტორინგის დაწყების პერიოდი:** 2026 წლის აგვისტოდან;
- **მონიტორინგის განხორციელების ფორმა:** ადგილზე ვიზიტი;
- **მონიტორინგისფარგლები:** 1-ელი; მე-2 (დაწყებითი და საბაზო ზოგადსაგანმ ანათლებლო პროგრამის საფეხურები); მე-3 და მე-4 სტანდარტები.

2. სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ტკოცის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, პაატა ჩორგოლაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ტკოცის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 17 და 18 ივნისს. სკოლა მდებარეობდა ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ტკოცში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 140

მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი. ხოლო საავტორიზაციო ვიზიტის პერიოდში სკოლაში ირიცხებოდა 59 მოსწავლე.
ექსპერტმა, პაატა ჩორგოლაშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია); მე-2(სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 სტანდარტი (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შეფასდა „ნაწილობრივი შესაბამისობით“, ვინაიდან, კომპონენტი 3.4 (ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება) და 3.5 (მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა) შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების მიმართ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში იყო კეთილმოწყობილი გარემო, სრულად ხელმისაწვდომი სპორტდარბაზი და გარე სპორტული მოედანი, საგნობრივი კაბინეტები, საპრეზენტაციო ოთახი, ბიბლიოთეკა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. რაც ექსპერტის თქმით, მოსწავლეებისა და სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის საშუალებას იძლეოდა. ასევე, სკოლა ახორციელებდა პროექტებს სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის, ექსპერტთა განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ამერიკულმა პროექტმა.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, რას გულისხმობდა ამერიკული პროექტი და აღნიშნულის შესახებ მეტი დეტალი ეცნობებინა საბჭოს წევრებისთვის.
სკოლის დირექტორის, ლიანა ლომიძის, განმარტებით, ხაშურის მუნიციპალიტეტში არსებობდა ორგანიზაცია „ამერიკის კუთხე“, რომლის ფინანსური დახმარებითაც დაწესებულებამ შეიძინა უცხოენოვანი სახელმძღვანელოები, 3D პრინტერი და ოკულუსი. საბჭოს თავმჯდომარე, ასევე, დაინტერესდა, რის საფუძველზე შეარჩია სკოლამ ზემოაღნიშნული მატერიალური რესურსები.
სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ ახალი ტექნოლოგიები მნიშვნელოვანი იყო სკოლის განვითარებისათვის, შესაბამისად, სიახლის დანერგვის მიზნით შეარჩიეს 3D პრინტერი, ოკულუსი და უცხოენოვანი სახელმძღვანელოები. მისი თქმით, მასწავლებლები აქტიურად იყენებდნენ აღნიშნულ რესურსებს, თუმცა ჰქონდათ მზაობა, რომ მოსწავლეებიც ჩაერთოთ აღნიშნულ პროცესში და ამ მიზნით თანამშრომლობდნენ კასპის ტექნოპარკთან.
საბჭოს წევრი, პეტრე ბაბილუა, დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა სკოლას წინასწარ გაწერილი გეგმა, რა შემთხვევაში გამოიყენებდა ამ რესურსებს. სკოლის დირექტორის განმარტებით, მსგავსი გეგმა დაწესებულებას არ ჰქონდა შემუშავებული.
საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია, დაინტერესდა, რა პერიოდიდან ფუნქციონირებდა საგამოფენო სივრცე სკოლაში.
დაწესებულების დირექტორის, ლიანა ლომიძის, თქმით, საგამოფენო სივრცე 60-იანი წლებიდან ფუნქციონირებდა სკოლაში, ხოლო შემდგომში ჩაუტარდა რესტავრაცია. დირექტორმა აღნიშნა, რომ დაწესებულება აქტიურად თანამშრომლობდა ხაშურის მხარეთმცოდნეობის და ეროვნულ მუზეუმებთან.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, განმარტა, რომ სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ტკოცის საჯარო სკოლის წარმომადგენლები აქტიურად იყვნენ ჩართული ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობის პროცესში.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, იგეგმებოდა თუ არა სველი წერტილების განახლება. სკოლის დირექტორის განმარტებით, 2023 წლის დეკემბრის თვიდან დაწესებულებას მზად ჰქონდა ახალი პროექტის მონახაზი და მიმართა ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 16:50
დასრულების დრო: 17:00

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ტკოცის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 140-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ტკოცის საჯარო სკოლას (ს/კ: 243874795) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 140-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ტკოცა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ტკოცა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის	საშუალო	ქართული	

	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			ხაშურის მუნიციპალიტეტი,სოფელი ტკოცა

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ცენტრის მხრიდან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვით**

საბჭომ 3.4 და 3.5 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2026 წლის აგვისტოში. კერძოდ, წარმოადგინოს შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა, შიდა და გარე პერიმეტრების ვიდეოსამეთვალყურეო კამერებით აღჭურვის, ექიმის პოზიციაზე შესაბამისი კადრის აყვანის, მოსწავლეთა მოთხოვნილი რაოდენობის მერხი/სკამის და ინკლუზიური გარემოს (ადაპტირებული სველი წერტილი და პანდუსი) დამადასტურებელი მტკიცებულებები.

3. შპს - თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა - ლიცეუმ "მწიგნობართუხუცესის" მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ექსპერტმა, ცირა ნიკოლაშვილმა. ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებაში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 28 ივნისს. ვიზიტის საფუძველი გახლდათ შპს-თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილება, ხოლო შემოწმების ფარგლებს წარმოადგენდა მე-3 სტანდარტი (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა).
ექსპერტმა, ცირა ნიკოლაშვილმა, აღნიშნა, რომ შპს თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ ,,მწიგნობართუხუცესს“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 18 მაისის გადაწყვეტილებით, 6 წლის ვადით, მიენიჭა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით. დაწესებულება

ფუნქციონირებდა ორ მისამართზე: ქ. თბილისი, ლეო კვაჭაძის ქუჩა N12 და ნუცუბიძის II მკ.რ. ჟღენტის ქუჩა N37. 2023 წლის მარტში გასხვისდა ბესარიონ ჟღენტის ქუჩაზე მდებარე შენობა, როგორც საწარმოს დამოუკიდებელი ქვედანაყოფი. გასხვისებულ შენობაში დარჩა 44 თანამშრომელი, ასევე, მატერიალური და სასწავლო რესურსი. გასხვისების ფაქტს ლეო კვაჭაძის N12-ში მდებარე შენობაში კურიკულუმის განხორციელებისათვის საჭირო რესურსების ცვლილება არ გამოუწვევია. სკოლა-ლიცეუმმა ფუნქციონირება განაგრძო (ე.წ. I კორპუსში) არსებული ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსის ცვლილების გარეშე. ექსპერტის თქმით, 2024 წლის 13 ივნისს დაწესებულებამ მიმართა განცხადებით სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების თაობაზე. სკოლა ითხოვდა მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრას 1300 (ათას სამასი) მოსწავლით, ნაცვლად 1886-სა. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ მოთხოვნილ რაოდენობას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო სერვისი გაეწია 1300 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტის შეფასებაზე და აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისად, მესამე სტანდარტის კომპონენტები, რომლებიც დასკვნის პროექტში შეფასებული იყო როგორც - „არ შეესაბამება“, ექსპერტების მხრიდან შეფასდა „მეტწილად შეესაბამისად“ (3.1., 3.4., 3.6.) და „შესაბამისად“ (კომპონენტი 3.5.), ხოლო მე-3 სტანდარტი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს “.

ექსპერტის თქმით, სკოლას მიეცა რეკომენდაციები და რჩევა, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა წარმოადგინა შენობა-ნაგებობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ სკოლა კეთილმოწყობილი იყო, ჰქონდა ღია სპორტული მოედანი და სოციო-კულტურული სივრცეები, გამწვანება, ციფრული რესურსები და აუზი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სკოლის წარმომადგენლებს, ხომ არ სურდათ დამატებით პოზიციის დაფიქსირება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით კახნიაშვილმა, გაცემულ რეკომენდაციებსა და რჩევასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სკოლა ვითარდებოდა და ჰქონდა მზაობა გარკვეული ხარვეზები აღმოეფხვრა მოკლე დროში. რაც შეეხებოდა ექიმთან დაკავშირებულ საკითხს, მისი თქმით, სასწავლო წლის დასრულებამდე სკოლას ჰყავდა ექიმი და ექთანი, ხოლო 2024-2025 სასწავლო წლისთვის გამოცხადებული ჰქონდა კონკურსი ექიმის ვაკანსიაზე.

საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, დაწესებულებას მისცა რჩევა, ბრძანებები გამოეცათ კანონმდებლობასთან თანხვედრით, კერძოდ, მიეთითებინათ გასაჩივრების ადგილი/მისამართი. ასევე, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრად რატომ ჰყავდათ განსაზღვრული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და არა კონკრეტული პირი.

სკოლის დირექტორის, დავით კახნიაშვილის განმარტებით, დაწესებულების პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი იყო პირი, რომელიც მუშაობდა იმ შპს-ში, რომელთანაც სკოლას ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

1. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა - ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ ფართის ცვლილების საკითხი;
2. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა - ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის ავტორიზაციის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 18 მაისის N510309 გადაწყვეტილებაში ცვლილების განხორციელების შესახებ საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 17:10
დასრულების დრო: 17:15

კენჭისყრის შედეგები:
1.მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

2.მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

1. **გადაწყვეტილება:**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25^2 -ე მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, განხორციელდეს შპს - თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა - ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის (ს/კ: 211360141) მიერ ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ადგილის ფართის ცვლილება.
დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1		დაწყებითი	ქართული	ქ. თბილისი ლეო კვაჭაძის N12

	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქ. თბილისი ლეო კვაჭაძის N12
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქ. თბილისი ლეო კვაჭაძის N12

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგი ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვით:

საბჭომ 3.1; 3.4; 3.6 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2025 წლის აგვისტოში, კერძოდ, უზრუნველყოს მასწავლებელთა შესარჩევი კონკურსის კანონმდებლობასთან შესაბამისად წარმართვა, შეათანხმოს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, მიმართოს უფლებამოსილ უწყებას შენობა - ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენისთვის, განახორციელოს ვიდეომეთვალყურეობის კამერების შეძენა და მონტაჟი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონისა და უფლებამოსილი სამსახურის რეკომენდაციების შესაბამისად,ასევე, გამიჯნოს სამედიცინო და ფსიქოლოგიური კაბინეტების და გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესახებ ინფორმაცია განათავსოს ვებ-გვერდზე.

2. გადაწყვეტილება:

შევიდეს ცვლილება 2022 წლის 18 მაისის N N510309 გადაწყვეტილების მე-2 ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„2. შპს თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესს მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1300 - ით.“

4. შპს - სკოლა XXI საუკუნეში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან

მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ელენე კალანდაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 17 ივლისს. ვიზიტის საფუძველს წარმოადგენდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება, რომლითაც ექსპერტთა ჯგუფს დაევალა საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმის შესაბამისობის შეფასება „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტთან. სკოლა მდებარეობდა ქალაქ ქუთაისში, წერეთლის N96 -ში და ახორციელებდა ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ექსპერტის თქმით, ვიზიტის დროს, სკოლაში, აქტიური სტატუსის მქონე 130 მოსწავლე იყო.
ექსპერტის, ელენე კალანდაძის, თქმით, დაწესებულებამ დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და ხარვეზების გამოსწორების დადასტურების მიზნით შესაბამისი მასალები/მტკიცებულებები. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის მიერ მეორე სტანდარტი ((სასკოლო კურიკულუმი) (ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები) შეფასდა, როგორც შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან. 2.2.1.3. ინდიკატორთან მიმართებით, ექსპერტმა აღნიშნა, რომ თავდაპირველად სკოლის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები არ ეყრდნობოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, კერძოდ, სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები და შემაჯამებელი დავალებები არ იყო ორიენტირებული სამიზნე ცნებებზე. სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაციები და ცენტრში წარმოდგენილ არუმენტირებულ პოზიციას დაურთო შესაბამისი მტკიცებულებები, რის საფუძველზეც ინდიკატორი შეფასდა სრული შესაბამისობით. 2.2.1.4. ინდიკატორთან მიმართებით , რომელიც შეეხებოდა შეფასების ვერიფიკაციის პროცესის განხორციელებას, სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაციები და არგუმენტირებულ პოზიციასთან წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები, რის საფუძველზეც ინდიკატორი შეფასდა სრული შესაბამისობით. 2.1.2.5. ინდიკატორთან მიმართებით ვინაიდან სკოლის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები არ ეყრდნობოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, ვერ დადგინდა შეფასების სისტემის ვალიდურობა, ობიექტურობა და სამართლიანობა. სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაციები და არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები, რის საფუძველზეც ინდიკატორი შეფასდა სრული შესაბამისობით. ასევე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემული რჩევები აღწერილი იყო ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია, დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას მზაობა და რესურსი ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემული რჩევების გათვალისწინებისთვის.
სკოლის დირექტორის, ნატო რევიშვილის განმარტებით, სკოლას დაწყებული ჰქონდა მუშაობა ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემული რჩევების გათვალისწინებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 17:30
დასრულების დრო 17:35

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სკოლა XXI საუკუნის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - სკოლა XXI საუკუნის (სკ: 212705438) მონიტორინგთან დაკავშირებით.

5. შპს - ნერგებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნონა ჩუბინიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 19 ივნისს. ვიზიტის საფუძველს წარმოადგენდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება, რომლითაც ექსპერტა ჯგუფს დაევალა დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმების შესაბამისობის შეფასება „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტთან. სკოლა მდებარეობდა ქალაქ ბათუმში, აღმაშენებლის ქ. №20ა -ში

და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ექსპერტის თქმით, ვიზიტის დროს, სკოლაში, აქტიური სტატუსის მქონე 240 მოსწავლე იყო.
ექსპერტმა ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტის შეფასებაზე და აღნიშნა, რომ მე-2 სტანდარტი (სასკოლო კურიკულუმი) (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები) შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“ მას შემდეგ, რაც სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, თუმცა, გარკვეულ ხარვეზებთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომელიც დეტალურად აღწერილი იყო ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა გარე და შიდა სპორტული მოედანი, სრულად აღჭურვილი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიიჩნია, რომ ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემულ რჩევებს არ უნდა ჰქონოდა არასავალდებულოდ შესასრულებელი რჩევის ხასიათი და სკოლას მისცა რჩევა, დაეხვეწათ შეფასების სისტემა. სკოლის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ აღნიშნულს ნამდვილად ესაჭიროებოდა რევიზია.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 17:45
დასრულების დრო 17:50

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ნერგების მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - ნერგების (სკ: 245439878) მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით**

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის აგვისტოდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - დოკუმენტაციის შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები - მე-2 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) სტანდარტი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 18:00 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით





სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა